



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
15 თებერვალი 2021

ეკონომიკა

Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB-ზე დაადასტურა 2021 წლის 12 თებერვალს, ხოლო Outlook-ი უარყოფითია. Fitch-ის მიხედვით, საქართველოს რეიტინგის ძლიერი მხარეა სტრუქტურული ინდიკატორები, როგორცაა მმართველობა და ბიზნეს გარემო, რაც საქართველოს BB რეიტინგის მქონე სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთესი აქვს. ამასთან, თანმიმდევრული და გონივრული მაკროეკონომიკური ჩარჩო უზრუნველყოფს შოკების მიმართ საქართველოს შედარებით მდგრადობას. ნეგატიური პერსპექტივა ასახავს კორონავირუსის პანდემიის მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას საქართველოს ეკონომიკაზე. Fitch-ის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა 4.3%-ით გაიზრდება 2021 წელს და 5.8%-ით 2022 წელს, რაც აღდგენის უფრო სწრაფი ტემპებია, ვიდრე BB რეიტინგის მქონე ქვეყნების საშუალო ზრდის ტემპები (4.0% 2021 წელს და 3.7% 2022 წელს). საბაზისო პროგნოზების ძირითადი უარყოფითი რისკები პანდემიასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას და ვაქცინაციის ეფექტურობას უკავშირდება. Fitch-ის მიხედვით, 2021 წელს საქართველოს ეკონომიკის ზრდას ძირითადად შიდა მოთხოვნა განაპირობებს, რადგან შეზღუდვების შემსუბუქება ხელს შეუწყობს კერძო მოხმარებას, ხოლო რეკორდულად დიდი მოცულობის მთავრობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ინვესტიციების განხორციელებას. ასევე, მოსალოდნელია ძირითადი სავაჭრო პარტნიორების მხრიდან მოთხოვნის ზრდა საქართველოს ექსპორტზე. ძირითადი სირთულეები კვლავ ტურიზმის მიმართულებით არის მოსალოდნელი. Fitch-ის მიხედვით, 202 წელს ტურიზმის შემოსავლები 2019 წლის დონის 30%-ზეა მოსალოდნელი, ხოლო 2022 წელს შემოსავლები 2019 წლის დონის 80%-მდე ზრდა არის ნაგარაუდები.


ტურიზმი: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, 2021 წლის იანვარში საერთაშორისო ვიზიტების (ტურისტები და ერთდღიანი ვიზიტორები) რაოდენობა წლიურად 93.6%-ით შემცირდა და 33.8 ათასი ვიზიტორი შეადგინა, რაც COVID-19 პანდემიის შედეგია. ამასთან, ჩვენი შეფასებით, 2021 წლის იანვარში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 14 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (-92.8% წ/წ).

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	13,596	14,584	15,634
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,696
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	40.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: სასტატატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	 Ba2 სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	 BB უარყოფითი დადასტურებული თებერვალი-2021
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 9 თებერვალს 1-წლიანი 15 მლნ ლარის (4.5 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის საბაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 4.2-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.179პპ-ით შემცირდა და 7.940% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 23 თებერვალს, სადაც 5-წლიანი 35 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენძმარვ ობლიგაციები გაიყიდება.


საბაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვაღიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	15	150	120
1-წელი	15	150	660
2-წელი	20	200	1,530
5-წელი	35	385	2,261
10-წელი	25	75	1,237
სულ	110	960	5,808


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

შენიშვნა: * 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საბაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




განხორციელებული ემისია და მოთხოვნა საბაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



წყარო: სტბ


მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სტბ

წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.24%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.42 (+0.57% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.17 (+0.65% წინა კვირასთან შედარებით), 5.35%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.56 (+0.12% წინა კვირასთან შედარებით), 3.72%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 107.14 ფასად (-0.01% წინა კვირასთან შედარებით), 2.53%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.69 (-0.35% წინა კვირასთან შედარებით), 2.31%-იანი შემოსავლიანობით.


ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

შენიშვნა: სილუეტის დურაციის გამოთვლისას ვადიანობის განსაზღვრისთვის აღებულია გამოსყიდვის თარიღი

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	100.69	2.31	212.57
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	107.14	2.53	234.84
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB-/	100.56	3.72	354.60
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.42	3.24	300.69
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	107.84	9.07	807.18
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B/B2	102.17	5.35	505.65
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B-/B1	110.71	7.11	564.03
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	106.00	3.82	348.72
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-/	106.24	9.40	836.54
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B-/	103.90	6.72	612.95

ადგილობრივი ობლიგაციები

KTW 12/22	US\$	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B-/	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.42	7.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.37	7.25	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/B-/	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/B-/	100.00	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B-/B-/	100.00	12.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/B-/	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Baa2	100.69	2.31	212.57
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.66	1.58	141.02
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	104.18	4.69	449.08
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	111.14	0.78	40.34
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	110.29	0.84	58.70
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B2	100.55	0.99	80.29
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/B3	102.80	2.49	231.97

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 11.44 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.22% წინა კვირასთან შედარებით და -5.14% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 126 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.02 – 11.80 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 26 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.27 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.94% წინა კვირასთან შედარებით და უცვლელი გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 60 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.05 – 5.55 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 29 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 12.12 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -6.77% წინა კვირასთან შედარებით და -8.18% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 168 ათასს გადააჭარბა, GBP 11.84 – 13.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

								P/E		P/B	
ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.		2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	11.44	562	33.0%	-29.8%	-6.2%	7.89x	4.58x	0.94x	0.76x
TBC	TBC	GBP	12.12	667	34.7%	-2.1%	-3.0%	6.12x	5.51x	0.96x	0.81x
Halyk Bank	HSBK	US\$	13.40	3,938	22.4%	-12.4%	15.0%	5.60x	5.06x	1.11x	1.01x
VTB Bank	VTBR	US\$	0.96	6,250	-1.1%	-36.0%	1.0%	7.06x	3.18x	0.34x	0.32x
Akbank	AKBNK	TRY	6.64	34,528	31.5%	-18.2%	-4.2%	8.09x	5.24x	0.80x	0.64x
Garanti	GARAN	TRY	9.92	41,664	40.3%	-15.3%	-4.3%	8.56x	5.41x	0.93x	0.75x
Isbank	ISCTR	TRY	6.50	29,250	29.0%	-9.5%	-7.1%	6.07x	4.26x	0.61x	0.51x
PKO	PKO	PLN	28.08	35,100	20.2%	-23.1%	-2.2%	12.07x	11.40x	0.77x	0.73x
PEKAO	PEO	PLN	64.66	16,971	14.3%	-37.6%	5.8%	13.19x	11.96x	0.66x	0.64x
Millennium	MIL	PLN	3.73	4,525	21.8%	-36.3%	14.1%	63.12x	12.26x	0.49x	0.48x
Mbank	MBK	PLN	186.00	7,875	-7.5%	-50.3%	3.8%	31.36x	14.65x	0.46x	0.45x
BRD	BRD	RON	14.00	9,757	15.9%	-11.9%	-5.8%	11.80x	10.78x	1.04x	1.11x
Banca Transilvania	TLV	RON	2.29	11,944	12.0%	-1.4%	1.8%	12.17x	10.86x	1.54x	1.51x
OTP	OTPD	USD	22.40	12,544	-1.8%	-1.8%	-1.8%	12.53x	10.91x	0.70x	0.64x
Komerční	KOMB	CZK	678.00	128,853	22.6%	-14.6%	3.2%	15.26x	13.18x	1.08x	1.01x
საშუალო								14.72x	8.62x	0.83x	0.76x
მედიანა								11.80x	10.78x	0.80x	0.73x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

								P/E		P/B	
ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.		2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.27	194	38.7%	-33.7%	-2.4%	n/a	n/a	n/a	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	12.45	340	-7.4%	-13.2%	-3.9%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	11.26	22,975	37.1%	12.2%	-1.7%	6.70x	5.59x	0.88x	0.71x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	38.35	577	22.1%	-8.6%	15.9%	n/a	12.45x	1.26x	1.23x
Eurazeo	RF	EUR	62.00	4,883	40.8%	-6.1%	11.7%	34.63x	9.53x	0.84x	0.79x
Carlyle Group	CG	USD	37.20	4,117	36.3%	10.4%	18.3%	6.26x	5.09x	6.15x	4.13x
საშუალო								15.86x	8.17x	2.28x	1.71x
მედიანა								6.70x	7.56x	1.07x	1.01x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადება რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადება ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის საარგებლოდობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge